სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება №01-09-10/102

ქ. თბილისი 18 08 2020 წ.

დოქტორანტურაში მიღების გამოცხადების შესახებ

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, სტუ-ის დოქტორანტურის დებულებისა და სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 14 აგვისტოს №01-05-04/125 დადგენილების საფუძველზე, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2020-2021 სასწავლო წელს სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხვის პროცესის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს მიღება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამების სწავლების პირველ წელზე;
2. სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხვის პროცესის წარმართვა დაევალოს რექტორის მოადგილეს ზურაბ გასიტაშვილს;
3. საბუთების რეგისტრაცია სადოქტორო პროგრამების შესაბამის ვაკანსიებზე განხორციელდეს ონლაინ ვებგვერდიდან register.gtu.ge ან ფაკულტეზე 2020 წლის 25 აგვისტოდან 5 სექტემბრის ჩათვლით;
4. გამოცდა უცხოურ ენაში ჩატარდეს 2020 წლის 8 სექტემბრის 10^{00} საათიდან სტუ-ის საგამოცდო ცენტრში. საპრეტენზიო განცხადებების მიღება მოხდეს 9 სექტემბრის 10^{00} საათიდან, 11 სექტემბრის 10^{00} საათამდე. მათი განხილვა - 11 სექტემბრის 12^{00} საათიდან. გამოცდების საბოლოო შედეგები გამოცხადდეს 11 სექტემბერს 15^{00} საათზე;
5. გასაუბრება საფაკულტეტო დროებით კომისიებში ჩატარდეს 2020 წლის 15 სექტემბერს 11^{00} საათიდან; გასაუბრების შედეგები გამოცხადდეს 16 სექტემბერს 10^{00} საათზე;

6. საპრეტენზიო განცხადებების მიღება მოხდეს 2020 წლის 16 სექტემბრის 11^{00} საათიდან 18 სექტემბრის 11^{00} საათამდე, მათი განხილვა პრეტენზიების განხილვის საუნივერსიტეტი კომისიის მიერ – 18 სექტემბერს 13^{00} საათიდან;
7. საბოლოო შედეგები გამოცხადდეს 2020 წლის 18 სექტემბერს;
8. ჩარიცხვის პროცესი დასრულდეს 2020 წლის 18 სექტემბერს;
9. ბრძანება გამოიკრას უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ კორპუსში და ფაკულტეტებზე თვალსაჩინო ადგილას და განთავსდეს სტუ-ის ვებგვერდზე.

რექტორი **დავით გურგენიძე**